დანართი

ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრის დირექტორის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობით და ორგანიზაციის წესდების საფუძველზე. შესაბამისად, დაფინანსებას იღებს ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, მიღებულ სახსრებს განკარგავს დამტკიცებული ხარჯთანუსხის შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

სერვის-ცენტრის მიზანია მომსახურეობა გაუწიოს ახალგორის მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ჩასახლებულები არიან წეროვანის, წილკნის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში. (ასევე, უანგაროდ ვუწევთ მომსახურეობას სამაჩაბლოდან დევნილ წეროვანის, წილკნის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას).

სერვის-ცენტრის ძირითადი ამოცანებია განახორციელოს სამუშაოები ახალგორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროგრამებით, კერძოდ,

- დასუფთავების პროგრამა: აპარატი, დასუფთავება;
- კეთილმოწყობის /გამწვანების პროგრამა;
- საოჯახო საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის ღონისძიებები:

1. საოჯახო საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის პროგრამა;
2. საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის/კოლექტორის მომსახურეობის პროგრამა;

- სასმელი წყლის სისტემის მომსახურეობის პროგრამა;
- გარე განათების მომსახურეობის პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები. კერძოდ, დასუფთავების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წეროვანის დევნილთა დასახლების ქუჩების დაგვა-დასუფთავებას, წილკნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებების შიდა ტერიტორიების მოვლა-დასუფთავებას.

აღნიშნულ პროგრამაზე გეგმით დამტკიცებული იყო 143 700 ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტით 154 000 ლარი. ბიუჯეტიდან მიღებულმა ასიგნებამ შეადგინა 153 391.48 ლარი (აქედან, სახელფასო განაცემი შეადგენს 120 373.64 ლარს, მ.შ. პრემია 2550.00 ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 78.16%-ს). სახ.შესყიდვების განხორციელებისათვის დასუფთავების პროგრამის ფარგლებში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 33 450.00 ლარი, აქედან არაფინანსური აქტივების შეძენაზე 14 000.00 ლარი. ათვისებულია 33 017.84 ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 1.73%-ით ნაკლებია და შეადგენს დასუფთავების პროგრამით ათვისებული თანხის 21.53%-ს. მ.შ.სოფელ ფრეზეთის დევნილთა დასახლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურეობის საკასო ხარჯმა მოცემული პერიოდისათვის შეადგინა 3 730.00 ლარი, სოფ.წეროვანის დევნილთა დასახლებიდან საყოფა-

ცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურეობის“ საკასო ხარჯმა შეადგინა 998.40 ლარი
საოფისე ხარჯების საკასომ 3 013.07 ლარი, საწვავის საკასო ხარჯი - 6 701.37 ლარი, ოფისის ქირ
საკასო 4 200.00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლის მომსახურეობის საკასო ხარჯი 375.00 ლარი.

დასუფთავების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა, ა(ა)იპ ახალგორი
მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრის მიერ წეროვანის დევნილთა დასახლების მიმდებარ
ტერიტორიის დასუფთავების პროგრამის ფარგლებში საერთო ძალებით განხორციელდ
დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავების ღონისძიებები. კერძოდ, ქანდ
(დევნილთათვის გამოყოფილი) სასაფლაოს ტერიტორია დასუფთავდა სხვადასხვა სახ
ნარჩენებისაგან და ნაგვისაგან, ფრეზეთის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორია
ფრეზეთის მისასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია, ს.წეროვანის დევნილთა დასახლებ
შემოსასვლელი და გასასვლელი გზის მიმდებარე ტერიტორია. გაიწმინდა წეროვან
დევნილთა დასახლებაში არსებული სანიაღვრე არხები. ს.წეროვანის დევნილთა დასახლებ
არსებული ეკლესიის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. ს.ფრეზეთის დევნილთა დასახლებ
განვალაგეთ 15 ცალი ახალი ნაგვის შემკრები კონტეინერი.

კეთილმოწყობის პროგრამა ემსახურება წეროვანის დევნილთა დასახლებაში, მიმდებ
ტერიტორიაზე, ბაღებში/სკვერებში არსებული მწვანე საფარის/ნარგავების მოვლა პატრონობ
ღონისძიებების განხორციელებას.

გამწვანების პროგრამაზე გეგმით დამტკიცებული იყო 46 100.00 ლარი, დაზუსტებული გეგმ
42 100.00. ბიუჯეტიდან მიღებულმა ასიგნებამ/საკასო ხარჯმა შეადგინა 40 938.74 ლარი, აქე
სახელფასო განაცემი შეადგენს 37 446.82 ლარს. საკასო ხარჯი გეგმით გათვალისწინებულ
2.76%-ით ნაკლებია. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დახარჯულია 3 000.00 ლ
რაც გათვალისწინებული იყო წლიური გეგმით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის გამწვანების პროგრამის ფარგლ
დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1 300.00 ლარი, აქედან ათვისებულია 49
ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 37.84%-ით ნაკლებია და შეადგენს გამწვან
პროგრამით ათვისებული თანხის 1.2%-ს.

ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრის მიერ, გამწვანების პროგრ
ფარგლებში, გარდა წეროვანის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებ
მწვანე საფარის/ნარგავების მოვლა-პატრონობისა, საერთო ძალებით განხორციელ
რამდენიმე ასეული ძირი მწვანე ნარგავის დარგვა წეროვანის დევნილთა დასახლ
შემოსასვლელში და ავტობანის გასწვრივ, დევნილთათვის გამოყოფილი ქანდის სასაფ
ტერიტორიაზე, ფრეზეთის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე და წილ
დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, კულტურისა და დასვენების პა
ტერიტორიაზე.

წეროვანის დევნილთა დასახლების კულტურის და დასვენების პარკში მოვაწყეთ საბა
ანტრაქციონი.

ასევე, გამწვანების პროგრამით დასაქმებული მუშაკების მიერ გაითიბა და ბალახისაგან გასუფთავდა წეროვანის დევნილთა დასახლების გზისპირა ტერიტორიები, ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, წეროვანში მდებარე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ეზო. შეკეთდა მწვანე ნარგავების პირუტყვისაგან დამცავი ღობის დაზიანებული მონაკვეთი წეროვანში მდებარე პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე. სისტემატიურად ვასუფთავებთ ს.წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებულ სანიაღვრე არხებს ამოზრდილი ბალახისაგან .

საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის ღონისძიებები მოიცავს წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებული საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის/კოლექტორის და საოჯახო საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის პროგრამებს;

სულ საკანალიზაციო სისტემის მომსახურების ღონისძიებებზე გეგმით დამტკიცებული იყო 58 400.00 ლარი, ბიუჯეტიდან მიღებულმა ასიგნებამ/საკასო ხარჯმა შადგინა 55 387.95 ლარი. აქედან სახელფასო განაცემი შეადგენს 52 990 ლარს, მ.შ. პრემია 700 ლარი. საკასო ხარჯი შეადგენს გეგმით გათვალისწინებულზე 2.31%-ით ნაკლებს.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის ღონისძიებებზე მ.წ. დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 3 600 ლარი. აქედან, ათვისებულია 2 397.95 ლარი, რაც 33.39 %-ით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე და შეადგენს საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის ღონისძიებებზე ათვისებული თანხის 4,33 %-ს.

საკანალიზაციო სისტემის მომსახურების პროგრამით დასაქმებული მუშაკების მიერ საანგარიშო პერიოდში დასახლებიდან შემოსულ განცხადებებზე რეაგირების შედეგად გაწმენდილი და აღდგენილი იქნა 170 ერთეული საკანალიზაციო ჭა და გაიწმინდა ცენტრალური საკანალიზაციო მილები.

სამუსიკო სკოლაში გავიყვანეთ ახალი საკანალიზაციო სისტემა. ასევე, გაიწმინდა წილკნის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში არსებული საკანალიზაციო სისტემის პრობლემური უბნები/ჭები.

სასმელი წყლის სისტემის მომსახურების პროგრამა ემსახურება წეროვანის, წილკნის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში არსებული სასმელი წყლის სისტემის მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელებას.

სასმელი წყლის სისტემის მომსახურების პროგრამაზე გეგმით დამტკიცებული იყო 22 700.00 ლარი, დაზუსტებული გეგმით 24 000.00 ლარი. ბიუჯეტიდან მიღებულმა ასიგნებამ/საკასო ხარჯმა შეადგინა 22 382.32 ლარი. აქედან, სახელფასო განაცემი შეადგენს 20 781.93 ლარს, მ.შ. პრემია 300 ლარი.

მოცემული პერიოდისათვის საკასო ხარჯი 6.74%-ით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის სასმელი წყლის სისტემის მომსახურებ
პროგრამის ფარგლებში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2 000 ლარ
გაწეული ხარჯი შეადგენს 1 302.34 ლარს, რაც 34.88%-ით ნაკლებია გეგმ
გათვალისწინებულზე და შეადგენს სასმელი წყლის სისტემის მომსახურების ღონისძიებებ
ათვისებული თანხის 5.82%-ს.

სასმელი წყლის სისტემის მომსახურების პროგრამით დასაქმებული მუშაკების მიერ 2018 წლ
1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, დასახლებიდან შემოსულ განცხადებებ
რეაგირების შედეგად შეკეთდა და აღდგენილი იქნა სასმელი წყლის 59 დაზიანებულ
ობიექტი. ასევე, ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში აღვადგინეთ სასმელი წყლ
დაზიანებული უბნები. იგივე ღონისძიებები განხორციელდა წილკნის დევნილ
დასახლებაშიც. ფრეზეთის დევნილთა დასახლებიდან ახალდაბის სკოლაში გავიყვან
სასმელი წყალი, დაახლოებით 700 მეტრ სიგრძეზე. რამდენჯერმე დაიქროლა ს.ფრეზეთ
სასმელი წყლის ჭაბურღილი.

გარე განათების მომსახურების პროგრამა ემსახურება წეროვანის, წილკნის და ფრეზეთ
დევნილთა დასახლებებში არსებული ობიექტების მოვლა-პატრონობას.

გარე განათების მომსახურების პროგრამაზე დამტკიცებული იყო 17 900.00 ლა
დაზუსტებული გეგმით 16 900.00 ლარი. ბიუჯეტიდან მიღებულმა ასიგნებამ/საკასო ხარ
შეადგინა 16 453.50 ლარი. აქედან, სახელფასო განაცემი შეადგენს 11 640.00 ლარს,
ათვისებული თანხის 70.74 %-ია.

მოცემული პერიოდისათვის საკასო ხარჯი 2.64%-ით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ
სახ.შესყიდვების განხორციელებისათის გარე განათების მომსახურების პროგრამის ფარგლებ
დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 5 200.00 ლარი, გაწეული ხარჯი შეადგენ
813.50 ლარს, რაც 7.43 %-ით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე და შეადგენს გ
განათების მომსახურეობის ღონისძიებებზე ათვისებული თანხის 29.26 %-ს.

გარე განათების მომსახურების პროგრამით განხორციელდა მთელი რიგი სამუშაო
შეკეთდა/შეიცვალა ახლით ს.ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში სტიქიური მოვლენ
(ძლიერი ქარის) შედეგად დაზიანებული გარე განათების ლამპიონები და აღდგა გაწყვეტი
ელ.სადენები, გადამწვარი ელ.ნათურები შეიცვალა ახლით, ს.წეროვანის დევნილ
დასახლებაში დამონტაჟდა 135 ცალი ახალი ნათურა, 5 ცალი ლამპიონი, 2 ცალი პროჟექტო
ს.ფრეზეთში დამონტაჟდა 110 ცალი ნათურა, წილკანში 97 ცალი ნათურა, 6 ცალი ლამპიო
წეროვანის დევნილთა დასახლებაში ოთხ ქუჩაზე შევცვალეთ დაზიანებ
ელექტროგამანაწილებელი, ფოტორელე და ავტომატური ჩამრთველი (კონტაქტორი).

გაწეული მუშობის პერიოდში სერვის-ცენტს გააჩნდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფ
მხარეები. მიუხედავად მოსახლეობისადმი ჩვენი ორგანიზაციის მრავალჯერადი თხოვ
ნაგვის ყუთებში არ ჩაყარონ სამშენებლო ნარჩენები: ქვა, ბალახი, ხის ტოტები და მუ
ყუთები, მოსახლეობა არ ითვალისწინებს, რის გამოც გადავსებულია ნაგვის შემკრ
ბუნკერები და ბუნკერების გარშემო დაყრილი სამშენებლო და სხვა ნარჩენები, რომე

იწვევს საშინელ დაბინძურებას და ანტისანიტარიას ქუჩებში (პ.ს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვითხოვთ შესაბამისი სტრუქტურების დაინტერესებას და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას).

მწყობრიდან გამოსულია და არ მუშაობს ს.წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებული საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა/კოლექტორი, ასევე, ს.წილკნის დევნილთა დასახლების საკანალიზაციო გამწმენდ ნაგებობაში გადამქაჩი ელ.ძრავი (ორიდან მუშაობს მხოლოდ ერთი), რაც გამოიწვევს მეორე ძრავის გადახურებას და დაზიანებას. ასევე, მწყობრიდანაა გამოსული ს.ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში არსებული სასმელი წყლის ორი ჭაბურღილიდან ერთი, რაც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში იწვევს სასმელი წყლის დეფიციტს დასახლებაში.

პ.ს. ზემოთ მოყვანილი პრობლემები მეტად აქტუალურია. მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ფინანსური სახსრები სერვის-ცენტრს არ გააჩნია, გთხოვთ გაატაროთ ქმედითი ღონისძიებები პრობლემების მოსაგვარებლად.

სულ, ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრის დამტკიცებული-დაზუსტებული ბიუჯეტით 2018 წლის გეგმით დამტკიცებული იყო 293 700.00 ლარი, მიღებული ასიგნება საკასო შადგენს 288 553.99 ლარს, აქედან მუშა-მოსამსახურეებზე გაცემულია 243 232.39 ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯის 84.29%-ს.